



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისია



წერილის ნომერი: 02-37210842
 თარიღი: 25/03/2021

ადრესატი:

დავით დარჩია
 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის წინამდებარე ანგარიში მოიცავს პერიოდს 2020 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 01 იანვრამდე.

საანგარიშო პერიოდში სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დამტკიცებული გეგმა ითვალისწინებდა 31 საკითხის შესწავლას, განხილვას, მიმოხილვასა და შესაბამისი წინადადებების, რეკომენდაციებისა და დასკვნების მომზადებას. ფაქტობრივად კომისიის მიერ შესწავლილი იქნა 24 საკითხი, სხვადასხვა პროექტებზე მომზადდა 23 დასკვნა. ამასთან დასკვნები მომზადდა არა მხოლოდ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ შესწავლას, განხილვას, სხვადასხვა დონის წინადადებების, რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების მიღებას ძირითადად დაექვემდებარა:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება (17 პროექტი);
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერების რეაბილიტაცია (4 პროექტი);
- სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია (4 პროექტი);
- წყალმომარაგებისა და წყალანირების მოწესრიგება და რეაბილიტაცია (4 პროექტი);
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრთა გადაყვანის რეგულაციების მოწესრიგება (1 პროექტი);
- მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდის ეფექტურად ფუნქციონირების უზრუნველყოფა (1 პროექტი);
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების და ნარჩენების მართვის გაუმჯობესება (1 პროექტი);
- გარე განათების მოწყობა (3 პროექტი);

- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზაცია-მოწესრიგება(18 პროექტი);
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირება (1 პროექტი);
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება (1 პროექტი);
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდება(3 პროექტი);
- სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა (1 პროექტი);
- მუნიციპალიტეტის საინფორმაციო სისტემისა და მონაცემთა ბანკის გამოყენება (1 პროექტი).
- შინაური ცხოველებისა და მიუსაფარი ძაღლების მოვლა-პატრონობა (1 პროექტი).

კომისიის საქმიანობის ზემოთ აღნიშნული მიმართულებების მიხედვით შესწავლილი იქნა 62 საკითხი (პროექტი), რომელთა განხორციელებაზე კომისიას პერიოდული და მუდმივი მონიტორინგი ჰქონდა დაწესებული.

საანგარიშო წლის განმავლობაში კომისიას შესწავლა-განხილვის მიზნით დაეწერა ცალკეული მოქალაქეთა 16 განცხადება და 4 კოლექტიური განცხადება. აღნიშნული რაოდენობის განცხადებებში დაფიქსირებული პრობლემების უმეტესი ნაწილი გადაწყვეტილია (6), გადაწყვეტილების პროცესშია 3 საკითხი, ჯერჯერობით რეაგირების გარეშე დარჩენილია 4 საკითხი. კომისიის წევრების უშუალო ჩარევის შედეგად მერიამ უზრუნველყო ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით 122 მეტი მოქალაქის მოთხოვნის დაკმაყოფილება. აქ საქმე ეხება მხოლოდ ინფრასტრუქტურული პრობლემის გადაწყვეტას.

კომისიამ საანგარიშო პერიოდში მოისმინა მუნიციპალიტეტის მერიის 2 სტრუქტურული ერთეულის ანგარიში კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელების ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ. დაგეგმილი იყო მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულების, კერძოდ ზედამხედველობის განყოფილების უკვე სამსახურის ხელმძღვანელის ანგარიშის მოსმენა კურორტ გომისმთაზე მიმდინარე პროცესების მართვის გაუმჯობესებისა და მოწესრიგების საქმეში მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით, მაგრამ იგი არ შედგა ობიექტური მიზეზებით განპირობებული ფაქტორების არსებობის გამო. სტრუქტურული ერთეულების ანგარიშების მოსმენის შედეგები აისახა კომისიის მიერ მომზადებულ დასკვნებში, წინადადებებსა და რეკომენდაციებში.

მოგაწვდით მოკლე ინფორმაციას სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის პროგრამულ ბიუჯეტში გათვალისწინებული მნიშვნელოვანი პროექტებზე, რომელიც განხორციელდა საანგარიშო 2020 წელს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის რეგიონში განხორციელებული პროექტების ფონდიდან განხორციელდა და დღესაც გრძელდება 9,4 მილიონი ლარის ღირებულების პროექტები - სულ 19 პროექტი. აღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად რეაბილიტირებულ იქნა 37500 გრ/მ გზის საფარი. მათ შორის - 4500 გრ/მ ქალაქ ოზურგეთში, მოეწყო კანალიზაციის 2 სრულყოფილი ქსელი, ექსპლუატაციაში გაშვებულია დაბა ნასაკირალის წყალმომარაგების ქსელი, რომელზეც ფაქტობრივად 840 ათასამდე ლარი დაიხარჯა. ამავე ფონდის დაფინანსებით განხორციელდა სამი საცხოვრებელი სახლის

სრულმასშტაბიანი რეაბილიტაცია, მოეწყო 1 სკვერი და 1 სტადიონი.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით განხორციელდა მუზეუმის რეაბილიტაცია (1, 434 ათასი ლარი), დასრულების სტადიაშია ურეკის ბულვარის რეკონსტრუქცია, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 5 მილიონზე მეტ ლარს. ამავე ფონდის დაფინანსებით ხორციელდება ე.წ. სამკუთხა სკვერის რეაბილიტაცია.

სამოქალაქო ბიუჯეტის „იყავი თანამმართველი“ ფარგლებში უნდა განხორციელდეს კონკურსში გამარჯვებული 10 პროექტი. შესაბამისად ფინანსური უზრუნველყოფა ასახული იყო 2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში. ჯერჯერობით არ განხორციელებულა არც ერთი პროექტი.

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსებას მოხმარდა 1,3 მილიონი ლარი, მათ შორის: გზების აღდგენას - 640 ათასი ლარი; გაბიონების მოწყობას -49,0 ათასი ლარი, მოქმედი სანიაღვრე არხების რეაბილიტაციას და ახალის მოწყობას - 153,9 ათასი ლარი, მოსახლეობის საცხოვრებელი სახლებისა და სახურავების რეაბილიტაციასა და მათთვის სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალების გადაცემას მოხმარდა 250 ათასი ლარი.

ზემოთ აღნიშნული პროექტების განხორციელების ფაქტობრივ ღირებულებაში, უშუალოდ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, წინადადებების და რეკომენდაციების გათვალისწინების შედეგად დახარჯულია 421,8 ათასი ლარი, ანუ 9,3%. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სხვადასხვა პროექტების განხორციელების მიმართულებების და მასშტაბების განსაზღვრა ძირითადად მერიის უფლებამოსილებაა, აღნიშნული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, რაც საკრებულოსა და მერიის საკმაოდ კარგად კოორდინირებულ საქმიანობაზე მიუთითებს.

ზემოთ აღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად მიღწეული ეფექტი მნიშვნელოვანია, როგორც შესრულებული სამუშაოების რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი თვალსაზრისით. სახეზეა მოქმედი ხელისუფლების სერიოზული ძალისხმევა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მასშტაბების განუხრელი ზრდის ტენდენციების შენარჩუნების თვალსაზრისით.

კოლეგებო! კომისიის საქმიანობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი მერიის მიერ განხორციელებულ პროექტებზე სრულფასოვანი მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებაა. ვინაიდან, განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მიღება-ჩაბარება ხდება შესაბამისი საექსპერტო სამსახურების დასკვნების საფუძველზე. კომისია ძირითადად სწორედ აღნიშნულ დასკვნებს ეყრდნობა საბოლოო შეფასების მიღების პროცესში. თუმცა, აუცილებლობის შემთხვევაში, კომისია საკმაოდ ხშირად იყენებს პროექტების განხორციელების ადგილების ვიზუალური დათვალიერების მეთოდებსაც, რომელიც პროექტის საბოლოო შედეგების შეფასებების კარგი და ეფექტური საშუალებაა.

კომისიის საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებლად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ფაქტობრივად განხორციელებული პროექტების ნუსხის დაფიქსირება რაოდენობრივ მაჩვენებლებში, არამედ აუცილებელია მათი განხორციელების შედეგად დამდგარი შედეგების ეფექტურობის პირდაპირი თუ ირიბი მაჩვენებლების სისტემური ანალიზი. კომისია შესაძლებლობის ფარგლებში მუდმივად ცდილობს გამოავლინოს სივრცის მოწყობისა და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შედეგად ფაქტობრივად დამდგარი ის სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური შედეგები, რომლებიც მათ განხორციელებას მოჰყვა. კონკრეტულად კი ისინი მოიცავს:

- მოსახლეობის, განსაკუთრებით მათი შრომისუნარიანი ნაწილის, სამუშაო დროის გახანგრძლივება;
- მოსახლეობის, განსაკუთრებით მწირი ეკონომიკური შესაძლებლობის ნაწილის, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების დაზოგვას;
- მოსახლეობის სოციალური პირობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, რომლებსაც ისინი ღებულობენ პირდაპირი თუ ირიბად მოქმედი ფაქტორების ზეგავლენით;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დამაზიანებელი ეკოლოგიური პროექტების, განსაკუთრებით ქარის-მიერი, წყლის-მიერი და ეროზიული პროცესების აღმოფხვრის ან ლოკალიზაციის და საბოლოო ჯამში კი მათ ლიკვიდაციას;
- მოსახლეობის განკარგულებაში არსებული რესურსების, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთებისა და სხვა უძრავი ქონების სამეურნეო ბრუნვაში ჩართვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.

კომისია შეეცადა რაოდენობრივ მაჩვენებლებში გამოესახა ზემოთ აღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად ის კომპლექსური მახასიათებლები, რომლებიც ფაქტობრივად დადგა. ეს არის:

- შრომის ნაყოფიერების (მწარმოებლურობის) ზრდა - მინიმუმ 6,8 %-ით;
- მოსახლეობის შემოსავლების ზრდა - მინიმუმ 5,5%-ით.

პროექტების განხორციელებაში დახარჯული ფინანსური რესურსების გამოსყიდვის ვადა ჩვენი გათვლებით 3 წელზე ოდნავ მეტია.

კომისიამ მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია პროგრამულ ბიუჯეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისას შუალედური და საბოლოო შედეგების მათი შეფასების ინდიკატორების სრულყოფილად ასახვის მიზნით. აღნიშნულის შესახებ უფრო სრულყოფილ ინფორმაციას ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვის შედეგებზე დაყრდნობით კომისიის მიერ მომზადებულ დასკვნაში ავსახავთ.

საანგარიშო პერიოდში კომისიაში არ შემოსულა არც ერთი განცხადება და საჩივარი, რომელიც შეეხებოდა სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულების პროცესში დაშვებული გადაცდომებისა და კანონდარღვევებს.

კომისიას თითქმის ყოველდღიური კომუნიკაცია აქვს მერიის სტრუქტურებში შემავალ ორგანიზაციებთან და შესაბამის სამსახურებთან. კომისიამ გასულ საანგარიშო წელს სხვადასხვა მიმართულების ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაწყვეტის მოთხოვნით სამუშაო შეხვედრა გამართა 30 მოქალაქესთან და 2-ჯერ მოქალაქეთა ცალკეულ ჯგუფებთან.

კომისიის მუშაობის პროცესში გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები, რომლებიც არსებითად არა, მაგრამ გარკვეულად ხელს უშლის კომისიის ეფექტურ ფუნქციონირებას, მათ შორის:

1. კომისიასთან არსებული სამუშაო ჯგუფების სუსტი ჩართულობა კონკრეტული საკითხების შესწავლის პროცესში, თუმცა 2020 წელს ამ მიმართულებით გაუმჯობესების ტენდენციები დაფიქსირდა.
2. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე მუნიციპალიტეტის

მერიის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ შესაბამისი ინფორმაციების დაგვიანებით მოწოდება, ან საერთოდ უპასუხოდ დატოვება. აღნიშნული ეხება მოსახლეობიდან შემოსულ პეტიციებსაც, რომელიც ეხება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზანშეწონილობას.

3. სხვა კომისიებთან საქმიანობის კოორდინაციის არაეფექტური მექანიზმი. მაგ:მერიის მიერ შემოტანილი პროექტი, რომელიც ეხება არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის იჯარით ან უსასყიდლოდ გადაცემას, მაგრამ ითვალისწინებს სივრცის დაგეგმარების ელემენტებსაც, არ ეწერება განსახილველად შესაბამის კომისიას.
4. კომისიის მიერ მიღებული ოპერატიული გადაწყვეტილებებისა და მათ შესრულებაზე მკაცრი მონიტორინგის განხორციელების მიუხედავად ვერ მოხერხდა მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ორი საკვანძო მიმართულების გარე გარე ვაჭრობის მოწესრიგებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესის სრულყოფილი ამოქმედება. აღნიშნული მიუთითებს მონიტორინგის მექანიზმების არარაციონალურად გამოყენებას.

ლავრენტი ბიგვავა

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე